იეჰოვას მოწმეთა
ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში
THE CHRISTIAN ORGANIZATION OF JEHOVAH'S WITNESSES IN GEORGIA
თბილისი, 0163, ბრილების ქუჩა №8 ტელ./Tel. (+995 32) 276-23-59 Brilebi Street, №8, Tbilisi, 0163

28 ოქტომბერი, 2024 წელი №49/24

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

წინამდებარე მინდობილობა ეძლევა **ლევან მამისაშვილს** (პ/ნ 01021001076) (შემდგომში „რწმუნებული“) მასზედ, რომ მას მინიჭებული აქვს შემდეგი უფლებამოსილება: იყოს სსიპ **„იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“**-ის (ს/კ 206337301) (შემდგომში „მარწმუნებელი“) წარმომადგენელი და „მარწმუნებლის“ სახელით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და არქიტექტურის სამსახურს მიმართოს და ჩააბაროს ნებისმიერი სახის პროექტი, განცხადება, ფოტოები, ესკიზი და ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტაცია და მიიღოს შესაბამისი ნებართვა, მიიღოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან ან პირობაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით ნებართვები, შემდეგ უძრავ ქონებაზე: ქალაქი თბილისი, ბზითაგორის ქუჩა N10; ს/კ 01.19.20.016.034.

„რწმუნებული“ უფლებამოსილია ზემოაღნიშნული უძრავი ქონებაზე ჩააბაროს, მათ შორის ელექტრონული ფორმით ატვირთოს განცხადებები თუ სხვა სახის დოკუმენტები Tas.ge-ზე, „მარწმუნებლის“ სახელით განახორციელოს საჭირო დოკუმენტაციის მოძიება, წარდგენა და ყველა სხვა მოქმედების განხორციელება, რაც მისთვის დაკისრებული დავალების შესასრულებლად იქნება საჭირო.

„რწმუნებული“ უფლებამოსილია წარმოადგინოს „მარწმუნებელი“ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნებისმიერ სამსახურში, ნოტარიუსთან, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, არქივებში და ნებისმიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსა თუ სხვა დაწესებულებაში თუ პირთან და შეიტანოს განცხადება, მათ შორის ელექტრონული ფორმით, Tas.ge-ზე ატვირთოს განცხადება, პროექტი თუ ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია, წარადგინოს ზეპირი ან/და წერილობითი მოთხოვნები და პოზიციები, გადაიხადოს შესაბამისი მოსაკრებელი და გადასახადები, მიიღოს პასუხი, გაეცნოს შესაბამის დოკუმენტაციას, გადაიღოს ასლები და წარადგინოს მათზე შენიშვნები.

„რწმუნებული“ ასევე უფლებამოსილია, „მარწმუნებლის“ სახელით შეასრულოს ნებისმიერი სხვა საჭირო მოქმედება, რაც შესაძლოა პირდაპირ არ არის მინდობილობაში მითითებული, მაგრამ დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა მოქმედებს 2025 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

ადმინისტრაციის თავმჯდომარე: /გიორგი ნეკრესელაშვილი/

მოადგილს წარმომადგენელი: /გიორგი მოსულიშვილი/

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

42429942308824

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე ინდივიდუალური მეწარმის) მონაწილეობით პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მინდობილობის/ რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240500130

რეგისტრაციის თარიღი

24.04.2024 წ

ნოტარიუსი: ხატია ბერიძე
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, მ. კოსტავას ქ. N 75
ტელეფონი: +995 032 2 4348 20; + 995 5 91 91 21 91

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაოთხი წლის ოცდაოთხი აპრილი
საქართველოს ნოტარიუსი: ხატია ბერიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N 75 (0171).

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა **სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301) თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ოთარ არუნაშვილი,** რომელმაც განაცხადა, რომ იმყოფება გერმანიის ფედერციაში, ქალაქ ზელტერში და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში გააკეთოს მინდობილობა და დაადასტუროს სანოტარო წესით.

<u>მარწმუნებელი:</u>

ოთარ არუნაშვილი (დაბადების თარიღი: 02.03.1986 წელი; პირადი ნომერი: 01027026971; რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, კალოუბანის ქუჩა, N 33, ბინა 7), როგორც **სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ბრილების ქ. N 8) **თავმჯდომარის მოადგილე,** თანახმად **სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301) ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24025541, 29/02/2024 11:59:04) <u>(იხ. შენიშვნა)</u>

<u>რწმუნებულ(ებ)ი:</u>

გიორგი მოსულიშვილი (დაბადების თარიღი: 30.05.1985 წელი; (პირადი ნომერი: 01001027383; რეგ. მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანის დას., მამკოდის ქ. N 2დ)

ან/და

დავით მამულაშვილი (დაბადების თარიღი: 27.06.1979 წელი; პირადი ნომერი: 01001007412; რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, VI მიკრო/რაიონი, კორპუსი 14, ბინა 68)

ან/და

სერგო ბაღდასაროვი (დაბადების თარიღი: 02.09.1985 წელი; პირადი ნომერი: 01027024096; რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, III მასივი, IV კვარტალი, კორპუსი 12, ბინა 31)

<u>მოწმე:</u>

ბელლა მაკარიძე (დაბ. თარიღი: 15.04.1998 წელი; პირადი ნომერი: 54001052006; რეგ. მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. N 16, კორ. 2, ბ. 58)

<u>ხელმომწერი პირი:</u>

მარინა ბიწაძე (დაბადების თარიღი: 17.03.1997 წელი; პირადი ნომერი: 54001060708; რეგ. მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ავშნის ქ. N 15)

საქართველოს ნოტარიუს ხატია ბერიძის მიერ სსიპ სსგს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით შემოწმებულია „მარწმუნებლის“ პირადობა, ხოლო ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება და ნების გამოვლენის ნამდვილობა შემოწმებულ იქნა ონლაინ რეჟიმში „მარწმუნებელთან“ გასაუბრების გზით. ნოტარიუსის მიერ ასევე შემოწმებულია სანოტარო აქტის მონაწილეთა ქმედუნარიანობა. მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. ნოტარიუსის მიერ შემოწმებულია სანოტარო აქტის მონაწილეთა პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით.

საქართველოს ნოტარიუსმა ხატია ბერიძემ სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილე (მოწმის ჩათვლით) გავაფრთხილე მოწმედ ყოფნის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ და განვუმარტე რომ:

- მოწმე უნდა იყოს სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირი;
- მოწმეს არ უნდა ჰქონდეს შეზღუდული სამოქალაქო ქმედუნარიანობა;
- მოწმე უნდა იყოს წერა-კითხვის მცოდნე;
- მოწმე სანოტარო მოქმედების შესრულებით არ უნდა იღებდეს სარგებელს პირდაპირი ან არაპირდაპირი სახით;
- მოწმე არ შეიძლება იყოს სანოტარო აქტის მონაწილე რომელიმე მხარისა და/ან ნოტარიუსის ნათესავი აღმავალი და დაღმავალი ხაზით მესამე რიგის ჩათვლით;
- მოწმე არ შეიძლება იყოს ზემოაღნიშნულ ორგანიზაციაში შრომით ურთერთობაში მყოფი ან/და დასაქმებული პირი.

სანოტარო მოქმედების მონაწილეებს, რომლებიც პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული რწმუნებულების ჩაწერას ესწრებოდნენ მოწმის და ხელმოწერი პირის სტატუსით ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ იცნობენ „მარწმუნებელს“, განვუმარტე იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც გამოწვეულ იქნება ცრუ ჩვენების, თარჯიმნის მიერ განზრახ არასწორად თარგმნისა და/ან ყალბი დასკვნის მიცემით, მიმცემი პირი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე. ***„მოწმე, ექსპერტი ან თარჯიმანი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ იგი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ნებაყოფლობით განაცხადებს თავის ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემის ან/და განზრახ არასწორად თარგმნის შესახებ“.***

ონლაინ რეჟიმში ვიზუალური დაკვირვების შემდეგ მოწმემ დაადასტურა **ოთარ არუნაშვილის** იგივეობა, რის შემდგომაც **ოთარ არუნაშვილს** ხელმომწერისა და მოწმის თანდასწრებით პირადად წავუკითხე რწმუნებულების ტექსტი. „მარწმუნებელმა“ დაადასტურა, რომ ნამდვილად წინამდებარე შინაარსის რწმუნებულების დამოწმება სურს.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა / რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. <u>რწმუნებულების უფლებამოსილების ფარგლები:</u>

ოთარ არუნაშვილი, როგორც სსიპ **„იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301) **თავმჯდომარის მოადგილე**, რომელიც წინამდებარე რწმუნებულებაში შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „მარწმუნებელი“ **გიორგი მოსულიშვილს** ან/და **სერგო ბაღდასაროვს ან/და დავით მამულაშვილს** - შემდგომში „რწმუნებულს“/“რწმუნებულებს“ (რწმუნებულები მოქმედებენ როგორც ერთად, ისე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ცალ-ცალკე) ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

1.1.„რწმუნებული“ უფლებამოსილია წარმოადგინოს სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301) თავმჯდომარის მოადგილე ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, მათ შორის სსიპ იუსტიციის სახლში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ნებისმიერ სამინისტროსა და მათ დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებებში, მათ შორის საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, მერიაში და მის დაქვემდებარებულ დაწესებულებებში, თვითმმართველ ერთეულებში, გამგეობაში, საკრებულოში, მუნიციპალიტეტებში, საბანკო დაწესებულებებში და ა.შ. და აწარმოებს შესაბამის სამართლებრივ საქმეებს.

1.2 „რწმუნებული“ უფლებამოსილია „მარწმუნებლის“ სახელით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღოს, გამოითხოვოს, განმეორებით აიღოს, წარადგინოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტი, მათ შორის ცნობები, ამონაწერები, ოქმები, განცხადებები,

ხელშეკრულებები, მათი დანართები, გადაიხადოს შესაბამისი გადასახადები და ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს.

1.3 წინამდებარე რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ჯეროვნად განსახორციელებლად, „რწმუნებული“ უფლებამოსილია „მარწმუნებლის“ სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, „მარწმუნებლის“ სახელით შეიტანოს განცხადება ან/და სარჩელი, გადაიხადოს ან/და დაიბრუნოს სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, მიიღოს მონაწილეობა საჩივრის განხილვაში, მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს შუამდგომლობები, მისცეს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, მონაწილეობა მიიღოს დავების განხილვაში, გაასაჩივროს გადაწყვეტილებები და განახორციელოს ნებისმიერი პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელი გახდება მინიჭებული დავალებების შესრულებასთან.

1.4 „რწმუნებული“ უფლებამოსილია „მარწმუნებლის“, როგორც სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301) ადმინისტრაციის თავმჯდომარის მოადგილის/წარმომადგენლის სახელით ხელი მოაწეროს ნებისმიერ ხელშეკრულებას, განცხადებას, საჩივარს, სარჩელს, წერილს, მინდობილობას/რწმუნებულებას, ოქმს, შუამდგომლობას ან/და სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, წარადგინოს შესაგებელი, განსაზღვროს მათი პირობები და განახორციელოს ნებისმიერი სხვა მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301) ჯეროვან ფუნქციონირებასთან, ინტერესებთან, საქმეებთან და ნებისმიერ სხვა საკითხთან.

1.5. „რწმუნებული“ უფლებამოსილია წარმოადგინოს **სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301) საქართველოში არსებული ნებისმიერი ბანკის ნებისმიერ ფილიალში ან/და სათავო ოფისში (მათ შორის სს „თიბისი ბანკში“, სს „საქართველოს ბანკში“, სს „ლიბერთი ბანკში“, სს „პროკრედიტ ბანკში“, სს „ბაზის ბანკში“ და ა.შ.) და მისი სახელით შეუზღუდავად გახსნას, მართოს და განკარგოს **სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301) სახელზე არსებული ნებისმიერი სახის საბანკო ანგარიშები, ბარათები, ბარათის დაბლოკვის ან/და ბანკომატში დაკავების შემთხვევაში მოითხოვოს ბარათის უკან დაბრუნება და მიიღოს ის, გაუგრძელოს ვადა ბარათებს, დაამზადებინოს დამატებითი პლასტიკური ბარათი და ისარგებლოს მისი მიღების უფლებით. შეცვალოს პინ კოდი, ჩართოს და ისარგებლოს ინტერნეტ ან/და მობაილ ბანკინგით, ასევე დიჯიპასით, აწარმოოს ყოველგვარი საბანკო-საფინანსო ოპერაცია. ასევე, „რწმუნებული“ უფლებამოსილია **სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301) სახელით გახსნას ანგარიშები, ვადიანი და უვადო ანაბრები და განახორციელოს ამისთვის საჭირო საბანკო-საფინანსო ოპერაციები (მათ შორის ფულადი თანხის მიღების, შეტანის, გამოტანის, ჩარიცხვის, გადარიცხვის, თანხის დეპონირების, კონვერტაციის, ანგარიშების დახურვა-ლიკვიდაციის და ა.შ. უფლებით), მიიღოს ამონაწერი, ინფორმაცია ანგარიშზე არსებული თანხების ბრუნვის, ნაშთების ოდენობის შესახებ, წარადგინოს და მიიღოს აუცილებელი დოკუმენტები, გადაიხადოს ყველა გადასახდელი და მოსაკრებელი. ამასთან, ჩაიბაროს და ჩააბაროს ნებისმიერი, მათ შორის ფინანსური ხასიათის დოკუმენტი (საგადახდო დავალება, ამონაწერი ანგარიშიდან და ა.შ.), შეიტანოს ბანკის სალაროს მეშვეობით მიზნობრივ ანგარიშზე ფულადი თანხები, ასევე, მიიღოს ბანკის სალაროდან ფულადი სახსრები და ა.შ. ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს (მათ შორის, ხელშეკრულებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ შეთანხმებებს, თანხმობებს, განცხადებებს, მიღება-ჩაბარების აქტებს და სხვა) და შეასრულოს საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დაკავშირებულია „მარწმუნებლის“ მიერ მინიჭებული დავალებების კეთილსინდისიერად განსახორციელებლად.

1.6. „რწმუნებული“ უფლებამოსილია **სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301) სახელით შეუზღუდავად მართოს და

განკარგოს, გახსნას და დახუროს ნებისმიერი ბანკის ნებისმიერ ფილიალში ან/და სათავო ოფისში (მათ შორის სს „თიბისი ბანკში“, სს „საქართველოს ბანკში“, სს „ლიბერთი ბანკში“, სს „პროკრედიტ ბანკში“, სს „ბაზის ბანკში“ და ა.შ.) არსებული ან/და მომავალში გახსნილი **სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301) ნებისმიერი ანგარიშები, მათ შორის სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)ი), სადეპოზიტო სერტიფიკატ(ებ)ი, აგრეთვე ნებისმიერ ანგარიში(ებ)ზე ან/და სეიფში განთავსებული ფულადი სახსრები (იგულისხმება როგორც წინამდებარე რწმუნებულების გაცემამდე, ასევე გაცემის შემდგომ განთავსებული თანხები, დოკუმენტები, ნივთები, დადოს საბანკო მომსახურების, საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულება(ები); აწარმოოს ანგარიშ(ებ)ზე (მათ შორის სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)ზე) კანონით ნებადართული ნებისმიერი საბანკო ოპერაცია (შემოსავლის, გასავლის, გადარიცხვის და სხვა), მიიღოს ამონაწერები ანგარიშებიდან, მიიღოს ნებისმიერი ცნობა/ინფორმაცია/დოკუმენტი **სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301) ანგარიშ(ებ)თან (მათ შორის სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)თან) და მათზე განთავსებულ თანხებთან დაკავშირებით, მათ შორის ცნობა დავალიანების შესახებ; სეიფში განთავსებული ნებისმიერი სახისა და ოდენობის დოკუმენტაცია, ნივთები და ა.შ., ისარგებლოს (გააააქტიუროს) ნებისმიერი საბანკო პროდუქტით/მომსახურებით და შეუზღუდავად ისარგებლოს მისი უფლებებით, რეგისტრაციისათვის გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ „მარწმუნებლის“ ნებისმიერი მონაცემები: ელ. ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი და ა.შ.), ელ. ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი განსაზღვროს და მიუთითოს დამოუკიდებლად.

1.7. „რწმუნებული“ უფლებამოსილია მოითხოვოს/მიიღოს/ განკარგოს/ აიღოს **სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301) სახელზე დამზადებული პლასტიკური ბარათ(ებ)ი, შეუკვეთოს ახალი პლასტიკური ბარათი, მიიღოს (პინ-კოდთან ერთად ან მის გარეშე) და განკარგოს ისინი; შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება **სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს** სახელზე (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301) დამზადებული პლასტიკური ბარათის მიღებასთან და განკარგვასთან; ხელი მოაწეროს საბანკო პროდუქტებით სარგებლობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ განაცხადს/განცხადებებს, მათ შორის ჩართვის/გააქტიურების/ გაუქმების/დეაქტივაციის, გააუქმოს გააქტიურებული/არსებული საბანკო პროდუქტები და სერვისები (მომსახურება).

1.8.„რწმუნებული“ უფლებამოსილია იყოს **სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301) წარმომადგენელი ნებისმიერ ბანკთან და განუცხადოს თანხმობა ბანკს, რათა **სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301) მონაცემების შესახებ ინფორმაცია მიიღოს ნებისმიერი საინფორმაციო ბაზიდან, მათ შორის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსაგან ან/და მსგავსი უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოსაგან/პირისაგან და შეცვალოს მონაცემები მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, განაახლოს „მარწმუნებლის“მონაცემები დამოუკიდებლად.

1.9. „რწმუნებული“ უფლებამოსილია „მარწმუნებლის“ სახელით მიაწოდოს, გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია და/ან დოკუმენტი/საბუთი (მათ შორის ცნობა, ამონაწერი, თანხმობა და ა.შ.); დადოს ნებისმიერი გარიგება, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს/ხელშეკრულებას/ შეთანხმებას და შეასრულოს ქმედება, რაც დაკავშირებულია მოცემული დავალებების შესრულებასთან;

1.10. „რწმუნებული“ უფლებამოსილია დაარეგისტრიროს, მართოს, ისარგებლოს, შეცვალოს ან/და გააუქმოს ელ. სერვისები: ინტ. ბანკის პაროლის აღება-განახლება, დიჯიპასის აღება-განახლება; ინტერნეტი ბანკში მომხმარებლის (ნებისმიერი მესამე პირის) დარეგისტრირება/დამატება როგორც სრული (საბოლოო) ავტორიზაციით, ასევე შეზღუდული (მათ შორის მხოლოდ ხედვისა და დათვალიერების ავტორიზაციის გარეშე ტრანზაქციის განხორციელების და ა.შ.) უფლებით, მომხმარებელი ან მისთვის მინიჭებული უფლებების შეცვლა/ გაუქმება; ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს/ ხელშეკრულებას/შეთანხმებას და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია მოცემული დავალებების შესრულებასთან.

1.11. „რწმუნებული“ უფლებამოსილია „მარწმუნებლის“ სახელით აწარმოოს მოლაპარაკებები, აგრეთვე სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301) სახელით შეიძინოს ნებისმიერი მახასიათებლების მქონე უძრავი ქონება და დაარეგისტრიროს საკუთრების უფლება სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301) სახელზე მარეგისტრირებელ ორგანოში, დადოს ხელშეკრულებები (მათ შორის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება და ა.შ.), წარადგინოს და მიიღოს აუცილებელი დოკუმენტები, მოწმობები, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას (მათ შორის ხელშეკრულებებს, ხელშეკრულებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ შეთანხმებებს, განცხადებებს, თანხმობებს, გააუქმოს ხელშეკრულებები და ა.შ.), გადაიხადოს ყველა გადასახადი, უძრავი ქონების შეძენის საფასური როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების გზით. აღნიშნულთან დაკავშირებით, „რწმუნებული“ უფლებამოსილია „მარწმუნებლის“ სახელით მოაწეროს ხელი ნებისმიერ დოკუმენტაციას, გადაიხადოს გადასახადები და შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელია „მარწმუნებლის“ მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად განსახორციელებლად (იხ. შენიშვნა).

შენიშვნა:

ვინაიდან სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე მხოლოდ და მხოლოდ ერთობლივად (ერთად) წარმოადგენენ „მარწმუნებელს“ მესამე პირებთან ურთიერთობისას. რწმუნებულს წინამდებარე რწმუნებულებით/მინდობილობით მოქმედების უფლებამოსილება გააჩნია სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301) ადმინისტრაციის თავმჯდომარესთან ან ადმინისტრაციის თავმჯდომარის უფლებამოსილ წარმომადგენელთან ერთად.

რწმუნებულების კანონიერება:

არავინ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებლია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

რწმუნებულებაში ასახული მონაცემები მითითებულია „მარწმუნებლის“ განცხადებით.

რწმუნებულების მოქმედების ვადა:

რწმუნებულება ძალაშია 2025 /ორი ათას ოცდახუთი/ წლის 31 /ოცდათერთმეტი/ დეკემბრის ჩათვლით და მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206337301) ადმინისტრაციის თავმჯდომარის მიერ გაცემულ რწმუნებულებასთან/მინდობილობასთან ან/და თავად ორგანიზაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარესთან, გიორგი ნეკრესელაშვილთან (პირადი ნომერი: 20001019388), ერთად.

რწმუნებულება გაცემულია მინიჭებული უფლებამოსილების სრულად ან/და ნაწილობრივ მესამე პირებზე გადანდობის უფლებით.

რწმუნებულების ძალაში შესვლა:

რწმუნებულება ძალაში შედის მასზე ხელმოწერისა და მისი სანოტარო წესით დადასტურებისთანავე.

<u>რწმუნებულების ეგზემპლარების რაოდენობა:</u>
რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე 4 /ოთხი/ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან 1 /ერთი/ ინახება ნოტარიუს ხატია ბერიძის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები გადაეცა დაინტერესებულ პირს.

წინამდებარე რწმუნებულების ტექსტი ჩავიწერე ნოტარიუსმა ხატია ბერიძემ, რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე „მარწმუნებელს“, რომელმაც დაადასტურა, რომ რწმუნებულების ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ იგი რწმუნებულების შედგენისას არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად რწმუნებულებაზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს **მარინა ბიწაძეს**, ხოლო სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებოდა მოწმე - **ბელლა მაკარიძე.**

<u>რწმუნებულების დანართი:</u>
რწმუნებულების იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ნოტარიუს ხატია ბერიძის სანოტარო ბიუროს არქივში დანართის სახით თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

- სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24025541, 29/02/2024 11:59:04);
- სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“-ს წესდება მიღებული მართვის ავტომატური საშაულების გამოყენებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდიდან /ფოტო ასლი/ ინახება ნოტარიუს ხატია ბერიძის სანოტარო ბიუროს არქივში.

<u>სანოტარო მომსახურების საზღაური:</u>
სანოტარო მომსახურების საზღაური სულ 111.20 /ას თერთმეტი ლარი და ოცი თეთრი/ ლარი. აქედან 90.00 /ოთხმოცდაათი ლარი და ნული თეთრი/ ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებების (29.12.2011 წელი, დადგენილება N507; 30.05.2022 წელი, დადგენილება N272) 32-ე მუხლისა, 16.20 /თექვსმეტი ლარი და ოცი თეთრი/ ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა (დღგ) და 5.00 /ხუთი ლარი და ნული თეთრი/ ლარი - ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილებების 29.12.2011 წელი, დადგენილება N507; 30.05.2022 წელი, დადგენილება N272) 39-ე მუხლისა.

ხელმომწერი პირი: **მოწმე:**

მარინა ბიწაძე ბელლა მაკარიძე

საქართველოს ნოტარიუსი **ხატია ბერიძე**


შეკერილია და დანომრილია
ფურცლად
ნოტარიუსი
ხატია ბერიძე